



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №3/4

2017 წლის 26 იანვარი  
ქალაქი ფოთი

### ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს მიმდინარე წლის დასაწყისში, წარმოეშვა ფინანსური სიმძნელები. ბიუჯეტით დაგეგმილი საშემოსავლო ნაწილი ვერ სრულდება. შეუსრულებლობა ძირითადად განპირობებულია ფიზიკური პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების საშემოსავლო გადასახადის ჩვენს სახაზინო ანგარიშზე შემოუსვლელობით.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში შემოსულობები შეადგენს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს, ხოლო ბიუჯეტი პირველ კვარტალში დაგეგმილი არის საშემოსავლო გადასახადის მნიშვნელოვანი პროპორციით.

იანვრის თვეში შემოსულობებმა სულ შეადგინა 220,0 ათ. ლარი, სულ პირველ კვარტალში საპროგნოზო შემოსულობა მოსალოდნელია 1200,0 ათ. ლარი, მიმდინარე პერიოდისათვის გარდამავალი დაუფინანსებელი ვალდებულებები შეადგენს 220,0 ათ. ლარს, ხოლო თებერვალ-მარტის თვისათვის დასაფინანსებელი ვალდებულებები - 2300,0 ათ. ლარს. სულ გადასახდელები იანვრის თვეში შეადგენს 800,0 ათ. ლარს.

საშემოსავლო გადასახადის შემოუსვლელობის პირობებში მიმდინარე წლის თებერვალ-მარტის თვეებში, ასევე შეგვექმნება ფინანსური სიმძნელები, რაც ზემოაღნიშნული საგადასახადო პარამეტრის შეუსრულებლობის პირობებში შექმნის აღებული ვალდებულებების დაუფინანსებლობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის ნებართვით აიღოს/სასესხო ვალდებულებები იურიდიული პირებისაგან. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის სახელით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობით, სესხს იღებს და შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

### აღნიშნულიდან გამომდინარე:

#### მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ირაკლი კაკულია) დააყენოს საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად უპროცენტო სესხის მიღების თაობაზე 2300,0 ათ. ლარის ოდენობით.

#### მუხლი 2.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ირაკლი კაკულია) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს შესაბამის სასესხო ხელშეკრულებას 2300,0 ათ. ლარის ოდენობით.

**მუხლი 3.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში(მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის №3).

**მუხლი 4.**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია